ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N21

07.12.2018 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

14:00 საათი *ოთახი 2-01*

მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318339110-03 05.12.2018) (მომხსენებელი - ზაზა ცინაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საკრებულოს დადგენილების პროექტი წარუდგინა.

ზაზა ცინაძე - მოგეხსენებათ, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესით, განსაზღვრულია კონკრეტულ კრიტერიუმები და პროცედურები, როგორ შეიძლება დაფინანსდეს ესა თუ ის ფედერაცია და სპორტული ორგანიზაცია. მათ შორის ჩვენ, როდესაც 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებაზე ვმუშაობდით, დავგეგმეთ, რომ თბილისში რეგისტრირებული სპორტსმენებისთვის შეგვემუშავებინა წახალისების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს შემდეგს: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი წახალისება. ცნობილია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებს იღებს სპორტის განვითარების მიმართულებით, როგორც მწვრთნელების, ასევე სპორტსმენების და მათი შეკრების ორგანიზებისა, თუ სხვა ხელშეწყობის კუთხით. აღსანიშნავია საკითხი, როცა საქართველოში მცხოვრებ მაღალი მიღწევების მქონე სპორტსმენებს, რომლებიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სახელით გადიან ტურნირებზე, იღებენ ერთჯერად პრემიებს მოპოვებული შედეგის მიხედვით, რაც საკმაოდ დიდი სტიმულია სპორტსმენისათვის, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტში მსგავსი პროგრამის არქონის გამო ვერ ხერხდებოდა ფულადი წახალისების გაცემა. მითუმეტეს, როცა ამ სპორტსმენების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში, წლის ძირითად დროს თბილისში არსებულ სპორტულ ბაზებზე ვარჯიშობენ ჩვენი ხელშეწყობით, ვეხმარებით შეკრების ნაწილშიც, ხოლო, როცა ტარდება საქართველოს, ან სხვა რანგის ჩემპიონატი მაშინ იმ მუნიციპალიტეტის სახელით გამოდიან, რომელსაც განსაზღვრული აქვს აღნიშნული ფულადი ჯილდოს გადაცემა. აქედან გამომდინარე აღნიშნული პროგრამა მოგვცემს საშუალებას, დედაქალაქში რეალურად მცხოვრები სპორტსმენების წახალისების, ასევე შესაძლებლობა მოგვეცემა ზუსტად დავთვალოთ, თუ რამდენი სპორტსმენია თბილისში რეგისტრირებული და რამდენმა მათგანმა მიიღო გარკვეული სინჯის მედალი წლის განმავლობაში მსოფლიოს, ევროპის და სხვა მაღალი რანგის ტურნირებზე. ამასთან ერთად ეს იქნება მოტივაცია, რადგან სპორტი მათი პროფესიაა და ესაჭიროებათ მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფო უწყებებიდან, როგორც სპორტში ჩართულობის ზრდის, ასევე არსებული რესურსის შენარჩუნებისა და მოტივაციის მიმართულებით. რაც შეეხება აღნიშნულ წესს, მასში განსაზღვრულია: ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების, ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში გუნდების წევრების ფულადი ჯილდოს რაოდენობის საკითხი, რომელიც დანართის სახითაა მოცემული. აღნიშნული სია გახლავთ რანგირების მიხედვით შედგენილი, ერთჯერადი ფულადი წახალისების გაცემის მიზნით საანგარიშო წლის ბოლოს.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - წესში არის გარკვეული ტექნიკური დეტალები გასათვალისწინებელი, ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის

წესის შესახებ, საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, სამინისტროების დასახელებები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და შესაბამისად წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ნაცვლად საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა უნდა იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. გარდა ამისა, წესის დანართში, სადაც წერია „მსოფლიო ჩემპიონატი" და „მსოფლიო ჩემპიონატი არაოლიმპიურ სახეობაში", დანართის პირველ ნაწილში ალბათ იგულისხმება ოლიმპიური სახეობა, შესაბამისად მითითებულ ცხრილში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის ნაცვლად ჩაიწეროს, „მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობები" და „ევროპის ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობები".

ზაზა ცინაძე - ნამდვილად იგულისხმება ოლიმპიური სახეობა, როგორც თქვენ ბრძანეთ ტექსტში აღნიშნული ნაწილის დამატება მართლაც გასათვალისწინებელია, სამსახურის ეთანხმება გამოთქმული შესაბამისის გათვალისწინებას მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესში.

ავთანდილ ცინცაძე - აღნიშნულ წესში, ჯილდოს მოცულობებს შორის არაა საკმარისი გამიჯვნა ჭაბუკთა, ახალგაზრდულსა და ეროვნულ ნაკრებებს შორის, ეროვნული ნაკრების წევრთა ჯილდო მკვეთრად გამორჩეული უნდა იყოს ვიდრე ასაკობრივი კატეგორიების სპორტსმენთა ჯილდოები. სასურველი იქნება, რომ აღნიშნულის გათვალისწინება მოხდეს სამომავლოდ მაინც, თუ ახლა ვერ მოესწრება. ეროვნული ნაკრების წევრების დაფინანსება უფრო მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს სხვა კატეგორიებისგან.

ზაზა ცინაძე - აღნიშნული პროექტი შედგენილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კონსულტაციით, მომავალი წლისთვის თქვენ მიერ დასახელებული ჯილდოს სხვაობის გამიჯვნა უფრო შესაძლებელია, ვიდრე უკვე შედგენილ ჯილდოებში ცვლილების მოხდენა.

ავთანდილ ცინცაძე - მომავალი წლიდან, აღნიშნული პროგრამის ამოქმედების შემდეგ ბევრი სპორტსმენი გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა თბილისის სახელით მიიღოს და უნდა მოხდეს მექანიზმების შემუშავება, რათა განვსაზღვროთ ვინაა თბილისში რეალურად მცხოვრები და ვინ არა. დასაფიქრებელია ერთი საკითხიც, როცა თბილისის მუნიციპალიტეტი მწვრთნელებს უხდის ხელფასებს და შემდეგ მათი გაწვრთნილი სპორტსმენები სხვა მუნიციპალიტეტების სახელით გამოდიან ცოტა არ იყოს უსამართლოა.

ზაზა ცინაძე - აღნიშნული მექანიზმი, შემდეგი წლისთვის უნდა შემუშავდეს, წელს კი ამის საჭიროება არ ყოფილა, რადგან აღნიშნულის პროგრამის განხორციელების შესახებ საზოგადოება არ ყოფილა ინფორმირებული და ჩვენთვის ნათელი სურათია, თბილისში მცხოვრები და რეგისტრირებული სპორტსმენების რაოდენობის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი

ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” დადგენილების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე